

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
140.130.000.22.034.014.386

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 333

2010 წლის 24 მარტი ქ. თბილისი

“შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის N1079 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით (სსმ 20.09.2006, NN129 მუხ. 1712) დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის “ა” და “წ” ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. “შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის N1079 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით დამტკიცებული დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. ამ ბრძანებით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირებმა უზრუნველყონ შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების აღრიცხვა და ერთიანი აღრიცხვის მიზნით სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში წარდგენა.”

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან.

ი. მერაბიშვილი

დანართი N1

შემაკავებელი ორდერი N000000

1. ორდერის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი _____

2. ორდერის შედგენის საფუძველი _____

(კონკრეტულად რაში გამოიხატა ძალადობა)

3. მსხვერპლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი და მისამართი

4. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი

5. ძალადობის ფორმა (გაუსვით ხაზი):

ა) ფიზიკური; ბ) ფსიქოლოგიური; გ) ეკონომიკური; დ) სექსუალური; ე) იძულება.

6. “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულია (გაუსვით ხაზი):

ა) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს;

ბ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;

გ) მოძალადის არასრულწლოვანისგან განცალკევება;

დ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

ე) მოძალადისათვის იარაღით, მათ შორის სამსახურეობრივ-საშტატო იარაღით სარგებლობის აკრძალვა;

ვ) მოძალადისთვის სამსახურეობრივ-საშტატო იარაღით სარგებლობის შეზღუდვა -----

(შეზღუდვის არსი)

ზ) მოძალადისათვის იარაღის შექმნის ან შექმნაზე ნებართვის ან ლიცენზიის გაცემის აკრძალვა;

თ) იარაღის, მათ შორის სამსახურეობრივ-საშტატო იარაღის ჩამორთმევა და შენახვა;

ი) _____

(სხვა ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის)

7. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულია მსხვერპლის დაცვის შემდეგი ღონისძიებები (გაუსვით ხაზი):

- ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდება;
- ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება;
- გ) _____

(გრაფა ივსება საჭიროების შემთხვევაში)

- 8. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოძალადეს დაეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
- 9. შემაკავებელი ორდერი ძალაშია მისი გამოცემისთანავე.
- 10. შემაკავებელი ორდერი შედგენილია 4 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს, ერთი ეგზემპლარი რჩება ორდერის გამომცემ ორგანოში, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სასამართლოს შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განსახორციელებლად.
- 11. _____

მოძალადის ხელმოწერა შემაკავებელი ორდერის მიღებაზე ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა

მსხვერპლის ხელმოწერა შემაკავებელი ორდერის მიღებაზე ან ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა

12. _____

(შემაკავებელი ორდერის გამომცემი თანამდებობის პირის სახელი, გვარი და თანამდებობა)

(თანამდებობის პირის ხელმოწერა)

დანართი N2

შემაკავებელი ორდერის ოქმი N000000

1. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი _____

2. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონი _____

3. მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი _____

4. ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია:

1. შემთხვევის თარიღი:	_____
2. შემთხვევის ადგილი:	_____
3. დრო:	_____ ძალადობის დრო შეტყობინების დრო შემთხვევის ადგილზე მისვლის დრო
4. არსებული მხარეები (გაუსვით ხაზი)	მსხვერპლი მოძალადე არასრულწლოვანი მოწმე
5. ძალადობის სახე (რაში გამოიხატა ძალადობა)	_____
6. ვის აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, რა სახის და სად	_____
7. იარაღის გამოყენება (გაუსვით ხაზი)	გამოიყენა სცადა გამოყენება დაემუქრა არ გამოიყენა

8. იარაღის შენახვის და ტარების უფლება	მოდალადეს აქვს შენახვის უფლება; აქვს ტარების უფლება; აქვს სამსახურეობრივ-საშტატო იარაღი (გაუსვით ხაზი)
9. მსხვერპლის დამოკიდებულება მოძალადესთან	დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიმე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე (გაუსვით ხაზი)
10. ოჯახის წევრები	<hr/> <hr/>
11. არასრულწლოვანის მონაწილეობა	<p>იღებდა მონაწილეობას ინციდენტში; არ მონაწილეობდა ინციდენტში; არის ინციდენტის მოწმე</p> <p style="text-align: center;">(გაუსვით ხაზი)</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>-----</p> <p>(რამდენი არასრულწლოვანი მონაწილეობდა და რაში გამოიხატა ინციდენტში მონაწილეობა)</p>
12. შეგროვილი სამხილები (თუ არის)	<hr/> <hr/>
13. მსხვერპლის აღქმა (გაუსვით ხაზი)	<p>ა) მსხვერპლს მიაჩნია, რომ მოძალადემ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ან მოკლას იგი; ბ) მსხვერპლი განცალკევდა ან ცდილობს განცალკევებას; გ) მსხვერპლი ითხოვდა კანონით გათვალისწინებულ დაცვას.</p> <p>მსხვერპლი ითხოვს:-----</p> <p>-----</p> <p>-----</p>

<p>14. მომალადის აღქმა (გაუსვით ხაზი)</p>	<p>ა) მომალადე აღიარებს ძალადობის ფაქტს; ბ) მომალადე უარყოფს ძალადობის ფაქტს; გ) მომალადე ადანაშაულებს მსხვერპლს. მომალადე ითხოვს: ----- ----- -----</p>
<p>15. დამატებითი ინფორმაცია</p>	<p>_____ _____ _____ (რასაც აუცილებლად ჩათვლის ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი)</p>
<p>16. ოქმს თან ერთვის (გაუსვით ხაზი)</p>	<p>ა) მსხვერპლის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი; ბ) მომალადის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი; გ) მოწმის ახსნა-განმარტება/გამოკითხვის ოქმი. (ახსნა-განმარტებაში/გამოკითხვის ოქმში აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკვირებული გარემოებები (რა მოხდა) და მისი გამომწვევი მიზეზები)</p>

5. პოლიციის მიერ მიღებული ზომები:-----

(განხორციელებული მოქმედებების მოკლე აღწერა)

6. შემაკავებელი ორდერის ოქმს გავეცანი და ვეთანხმები მის შინაარსს:

(მსხვერპლის ხელმოწერა)

(მომალადის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)

(მოწმის (თუ არის) ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)

7. შემაკავებელი ორდერის ოქმი დგება ერთ ეგზემპლარად და რჩება მის გამომცემ ორგანოს. ოქმის შემდგენის ხელმოწერით დამოწმებული ოქმის თითო ასლი წარედგინება ზედამხედველ პროკურორს და სასამართლოს.

8. _____

_____.

(ოქმის შემდგენის პირის სახელი, გვარი და თანამდებობა

(ხელმოწერა) _____

(სსმ 20.09.2006 N 129 მუხ. 1712)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
140.130.000.22.034.009.227

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება N 1079
2006 წლის 11 სექტემბერი ქ. თბილისი**

**შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის
ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი
პირების განსაზღვრის შესახებ**

“ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-11 პუნქტის “ა” და “ნ” ქვეპუნქტების შესაბამისად **გ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. დამტკიცდეს შემაკავებელი ორდერის თანდართული ფორმა (დანართი N1).
2. დამტკიცდეს შემაკავებელი ორდერის ოქმის თანდართული ფორმა (დანართი N2).

3. შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენის უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფების შემდეგი თანამდებობის პირები:

- ა.ა. ოცეულის მეთაური;
- ა.ბ. ათეულის მეთაური;
- ა.გ. უფროსი პატრულ-ინსპექტორი;
- ა.დ. პატრულ-ინსპექტორი;
- ა.ე. უმცროსი პატრულ-ინსპექტორი.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორები – მხოლოდ იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორია.

4. ამ ბრძანებით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირებმა აწარმოონ შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების აღრიცხვა.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

შემაკავებელი ორდერი N00000

1. ორდერის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი _____

2. ორდერის შედგენის საფუძველი _____
(კონკრეტულად რაში გამოიხატა ძალადობა)

3. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი _____

4. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი

5. ძალადობის ფორმა (გაუსვით ხაზი):

ა) ფიზიკური; ბ) ფსიქოლოგიური; გ) ეკონომიკური; დ) სექსუალური; ე) იძულება.

6. “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად შემაკავებელი ორდერი ითვალისწინებს (*შემოხაზეთ*):

ა) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორებას, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს;

ბ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

გ) მოძალადის მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვას, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

დ) მოძალადისთვის იარაღის, მათ შორის სამსახურეობრივ-საშტაგო იარაღის,

სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის უფლების აკრძალვას;

ე) მოძალადის ბავშვებისაგან განცალკევებას;

ვ) _____

(სხვა ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის)

7. შემაკავებელი ორდერი ითვალისწინებს მსხვერპლის დაცვის შემდეგ ღონისძიებებს (შემთხაბეთ):

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდებას;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში მოთავსებას;

გ) _____

(გრაფა ივსება საჭიროების შემთხვევაში)

8. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოძალადეს ეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

9. შემაკავებელი ორდერი ძალაშია მისი გამოცემისთანავე.

10. შემაკავებელი ორდერი შედგენილია 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს და ერთი რჩება მის გამომცემ პირთან.

11. შემაკავებელი ორდერი გაცემულია _____

_____ მიერ.

(თანამდებობა, სახელი და გვარი)

(ხელმოწერა)

დანართი N2

შემაკავებელი ორდერის ოქმი N00000

1. მსხვერპლის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი _____

2. მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონი _____

3. მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონი _____

4. ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია:

1. შემთხვევის თარიღი:	_____
2. შემთხვევის ადგილი:	_____
3. დრო:	<div style="display: flex; justify-content: space-between;"> _____ ძალადობის დრო _____ შეტყობინების დრო _____ შემთხვევის ადგილზე მისვლის დრო </div>
4. არსებული მხარეები (გაუსვით ხაზი)	<div style="display: flex; justify-content: space-around;"> მსხვერპლი მოძალადე ბავშვი მოწმე </div>
5. ზიანის სახე: (რაში გამოიხატა ზიანი)	<p>_____</p> <p>—</p> <p>_____</p> <p>—</p> <p>_____</p> <p>—</p> <p>_____</p> <p>—</p>
6. ვის	_____

<p>აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, რა სახის და სად</p>	<p>_____</p> <p>—</p> <p>_____</p> <p>—</p> <p>_____</p> <p>—</p>
<p>7. იარაღის გამოყენება: (გაუსვით ხაზი)</p>	<p>გამოიყენა სცადა გამოყენება დაემუქრა არ გამოიყენა</p>
<p>8. იარაღის შენახვის და ტარების უფლება</p>	<p>მოძალადეს აქვს შენახვის უფლება, აქვს ტარების უფლება, აქვს სამსახურეობრივ-საშტაგო იარაღი (გაუსვით ხაზი)</p>
<p>9. მსხვერპლის დამოკიდებულება მოძალადესთან</p>	<p>მეუღლე, ყოფილი მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები მეურვე (გაუსვით ხაზი)</p>
<p>10. ოჯახის წევრები</p>	<p>_____</p> <p>—</p> <p>_____</p> <p>—</p>
<p>11. ბავშვის (ბავშვების) მონაწილეობა</p>	<p>იღებდა მონაწილეობას ინციდენტში, არის ინციდენტის მოწმე, არ მონაწილეობდა ინციდენტში</p> <p>(გაუსვით ხაზი)</p>
<p>12. შეგროვილი სამხილები (თუ არის)</p>	<p>_____</p> <p>—</p> <p>_____</p> <p>—</p>
<p>13. მსხვერპლის აღქმა (შემოხაზეთ)</p>	<p>ა) მსხვერპლს მიაჩნია, რომ მოძალადემ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ან მოკლას იგი; ბ) მსხვერპლი განცალკევდა ან ცდილობს განცალკევებას; გ) მსხვერპლი ითხოვდა კანონით გათვალისწინებულ დაცვას.</p>
<p>14. მოძალადის აღქმა (შემოხაზეთ)</p>	<p>ა) მოძალადე აღიარებს მომხდარ ფაქტს; ბ) მოძალადე უარყოფს მომხდარ ფაქტს; გ) მოძალადე აღანაშაულებს მსხვერპლს.</p> <p>შენიშვნა:</p> <p>_____</p>

	– – (შენიშვნის გრაფა ივსება საჭიროების შემთხვევაში)
15. დამატებითი ინფორმაცია	– – – – –
16. ოქმს თან ერთვის (გაუსვით ხაზი)	მსხვერპლის ახსნა-განმარტება; მოძალადის ახსნა-განმარტება; მოწმის ახსნა-განმარტება (ახსნა-განმარტებაში აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან ადაკვშირებული გარემოებები და მისი გამომწვევი მიზეზი)

5. ოქმი წარმოადგენს შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძველს, რომელშიც აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მიღებული ზომები.

6. მსხვერპლს და მოძალადეს განემარტათ მათი უფლებები და მოვალეობები.

7. შემაკავებელი ორდერის ოქმს და შემაკავებელს ორდერს გავეცანი და ვეთანხმები მის შინაარსს:

(მსხვერპლის ხელმოწერა)

8. შემაკავებელი ორდერის ოქმს და შემაკავებელ ორდერს გავეცანი:

(მოძალადის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარი)

9. შემაკავებელი ორდერის ოქმი შედგენილია 2 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ბარდება გედამხედველ პროკურორს, ხოლო ერთი რჩება მის გამომცემ პირთან.

11. ოქმი შედგენილია “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონისა და

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

10. შემაკავებელი ორდერის ოქმი გაცემულია _____

_____ მიერ.

(თანამდებობა, სახელი და გვარი)

(ხელმოწერა) _____